საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

№ _____ ____ ____ 20 წ.

MES 2 14 00845641

27/10/2014

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 367
თარიღი: 30 10 2014 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორს,
ბატონ სერგი კაპანაძეს

მის.: თბილისი, რაზმაძის ქ. №15

ბატონო სერგი,

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2014 წლის 16 ოქტომბერს ცენტრში შემოვიდა თქვენი 2014 წლის 13 ოქტომბრის № 730 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №804750), რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია შპს - საქართველოს უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა საანგარიშო თარიღის მდგომარეობით.

თქვენ მიერ სხვადასხვა საანგარიშო თარიღებში მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის N 154/ნ ბრძანების მე - 5 მუხლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის გადარიცხვას ახორციელებს პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში - 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისათვის. შესაბამისად, რეესტრი ინახავს ბაზის ასლებს და ინფორმაციას გასცემს მხოლოდ ამ თარიღების შესაბამისად ან მიმდინარე თარიღით. თუმცა, მიმდინარე თარიღით მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავების ეტაპზე, ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში აღმოჩენილ იქნა ტექნიკური უზუსტობები. აღნიშნულის არსებობა კი ვერ უზრუნველყოფს სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ სრული სურათის წარმოჩენას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის N 127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის რეესტრში ასახვაზე პასუხისმგებელია საგანმანათლებლო დაწესებულება.

შესაბამისად, ცენტრი ამჟამად მუშაობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აღნიშნული უზუსტობების აღმოფხვრის საკითხებზე და იმავდროულად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მოცემული მომენტისთვის, მოგეწოდებათ მოგვიანებით, ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების

რეესტრში დაზუსტებული ინფორმაციის ასახვისთანავე, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.

რაც შეეხება წერილში მითითებულ სხვა საანგარიშო თარიღებს, აღნიშნული ინფორმაცია თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / ადმინისტრაცია / საქმისწარმოებისა და საკადრო
სამმართველო
სამმართველოს უფროსი
მეგრელი ნინო

6. მეგრელი